# რაულ კარდენასი: საუკეთესონი იყვნენ შესტერნიოვი და ასათიანი


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 106 (4100)

1970 წ. 2 ივნისი. სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## პირველი მატჩი — პირველი ქულა

მეხიკო, „აცტეკის“ სტადიონი, 31 მაისი.

**მექსიკა—სსრ კავშირი 0:0.**

**მექსიკა:** კალდერონი, პენია, პერესი, ერნანდესი, ლოპესი, ვანტოლრა, გუსმანი, პულიდო, ველარდე (მუნგია), ვალდივია, ფრაგოსო.

**სსრ კავშირი:** კავაზაშვილი, ლოგოფეტი, შესტერნიოვი, კაპლიჩნი, ლოვჩევი, სერებრიანიკოვი (პუზაჩი), ასათიანი, მუნტიანი, ნოდია (ხმელნიცკი), ბიშოვეცი, ევრიუჟიხინი.

მსაჯი: კ. ჩენჩერი (გფრ).

მეხიკო, 1 ივნისი. IX მსოფლიო ჩემპიონატის პირველ მატჩში სსრ კავშირის ნაკრების ფეხბურთელებმა ფრედ დაამთავრეს შეხვედრა მექსიკის გუნდთან — 0:0. მიღებულია პირველი ქულა ოქროს ქალღმერთისთვის ბრძოლაში. ძნელია სიტყვით გადმოიცეს, რა დაძაბული იყო ეს მატჩი, რომელსაც მექსიკელები უკვე რამდენიმე წელია ელოდნენ. ტურნირის მასპინძლები მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობდნენ და მოგება სურდათ სწორედ პირველ მატჩში ჩვენს ფეხბურთელებთან.

100.000-ადგილიანი „აცტეკის“ სტადიონი პირველობის გახსნამდე დიდი ხნით ადრე უკვე აფორიაქებულ სკას ჰგავდა. თითქმის მთელი სამი საათის განმავლობაში გაისმოდა დოლისა და ათასგვარი სხვა ხმა, ყვირილი: „მეხიკო, მეხიკო, რა-რა-რა!“.

ზუსტად 11 საათზე ადგილობრივი დროით სტადიონზე გამოვიდა საზღვაო ფლოტის გაერთიანებული ორკესტრი. შემდეგ მთავარი ტრიბუნის პირდაპირ გამოიტანეს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის წევრი ქვეყნების დროშები. 18 წუთის შემდეგ მინდორზე გამოვიდნენ სსრ კავშირისა და მექსიკის ფეხბურთელები. ჩვენს სათადარიგოებს კინაღამ ავტობუსში დასჭირდათ ფორმის ჩაცმა: ქუჩები ისე იყო გაჭედილი, რომ ისინი გახსნის ცერემონიის დაწყებამდე მხოლოდ 10 წუთით ადრე მივიდნენ სტადიონზე.

ტრიბუნაზე პირველობის საორგანიზაციო კომიტეტისა და ფიფა-ს ხელმძღვანელთა თანხლებით გამოჩნდა მექსიკის პრეზიდენტი გუსტავო დიას ორდასი. მან ჩემპიონატი გახსნილად გამოაცხადა. სტადიონის თავზე აფრინდა ასი ათასობით ჭრელი საჰაერო ბურთი

... პირველმა ბურთს ანატოლი ბიშოვეცმა დაარტყა...

შეხვედრაზე დაწვრილებით ლაპარაკი ალბათ არც ღირს: ტელემაყურებლებმა და რადიომსმენელებმა უკვე იციან, როგორ მიმდინარეობდა იგი. გვინდა აღვნიშნოთ მთავარი: ამ ძნელ მატჩში მაღალმთიანეთისა და პაპანაქება სიცხის პირობებში (ჩრდილში ჰაერის ტემპერატურა 28 გრადუსს აღწევდა) ჩვენი სპორტსმენები მონდომებით თამაშობდნენ. ქებას იმსახურებს გუნდის კაპიტანი ა. შესტერნიოვი, რომელიც უშეცდომოდ მოქმედებდა. მას კარგად უბამდა მხარს ვ. კაპლიჩნი, რომელიც ფხიზლად სდარაჯობდა მექსიკელ თავდამსხმელს ხ. ფრაგოსოს.

თამაშის ტემპი მაღალი არ იყო. ბურთი საჯარიმო მოედნებს 10-15 გადაცემის შემდეგ უახლოვდებოდა. ნახევარმცველებს, როგორც წესი, წინ გასვლისა ეშინოდათ, გამუდმებით დაცვაზე ფიქრობდნენ. ჩვენს ნაკრებს იერიში არ გამოსდიოდა. ამასთან, თავდამსხმელები ბიშოვეცი, ევრიუჟიხინი და ნოდია ბოროტად იყენებდნენ ინდივიდუალურ თამაშს.

პირველ ტაიმში კავაზაშვილმა ორ მძიმე მომენტში იხსნა კარი. მეორე ტაიმში უპირატესობის რეალიზაცია ვერ შეძლოთ ბიშოვეცს, ხმელნიცკის, მუნტიანს. სხვათა შორის, კუთხური დარტყმების რიცხვი ერთნაირი გამოდგა — 7:7.

შუა მეორე ტაიმში ნათელი გახდა, რომ დაღლილი მეტოქენი ფრესაც დასჯერდებოდნენ. „აცტეკის“ სტადიონი ინერციით აგრძელებდა გუგუნს, მაგრამ მექსიკელ მაყურებელთა ტემპერამენტმა უკვე ველარ შემატა ძალა მათს თანამემამულეებს. მატჩის ბოლოს საბჭოთა ნაკრების უპირატესობა იგრძნობოდა.

— ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ, მატჩის შედეგით კი არა. ფეხბურთელებმა თითქმის მთლიანად შეასრულეს მათს წინაშე დასახული ამოცანა. ვერ შევასრულეთ მხოლოდ მთავარი მიზანი: გოლის გატანა, — განაცხადა პრეს-კონფერენციაზე მექსიკის ნაკრების მწვრთნელმა რ. კარდენასმა. — საბჭოთა ფეხბურთელებმა, როგორც მექსიკელებმა, ჩემი აზრით, ყველაფერი გააკეთეს, რაც შეეძლოთ. საბჭოთა გუნდში საუკეთესონი იყვნენ შესტერნიოვი და ასათიანი. საერთოდ კი ყველამ კარგად ითამაშა.

როცა კორესპონდენტებმა სთხოვეს თავისი გუნდის ნაკლი აღენიშნა, კარდენასმა მათ არ უპასუხა.

— ჩვენ ბევრი რამ მოვიგეთ ამ მატჩში, მაგრამ ერთი ქულა წავაგეთ, — თქვა სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა გ. კაჩალინმა. — მექსიკის გუნდი ახლა კარგ ფორმაშია. და მას ჰქონდა ერთი უდავო უპირატესობა: შინ თამაშობდა. მექსიკის მაღალმთიანეთის პირობები ყველა ჩამოსულ გუნდზე მოქმედებს, თუმცა ჩვენ უკვე 20 დღეა აქა ვართ და ნაკრებმა აკლიმატიზაციის პერიოდი გაიარა. სწორი არ იქნება ითქვას, რომ სიმაღლე არ იგრძნობა. ამ მატჩში ნერვული დაძაბულობაც თამაშობდა თავის როლს.

პირველი ქულა მოპოვებულია. წინაა მატჩი ბელგიელებთან, რომლებმაც ნახეს საბჭოთა ფეხბურთელების თამაში. შეხვედრა 6 ივნისს მოეწყობა „აცტეკის“ სტადიონზე. მაგრამ მანამდე ბელგიელები სალვადორის გუნდთან ითამაშებენ. დღეს ბელგიელთა ნაკრების ხელმძღვანელმა რ. გუტალსმა განაცხადა, რომ საბჭოთა ნაკრებს ბევრი პლუსიც აქვს და ბევრი მინუსიც, და რომ მასთან მოგება შესაძლებელია. ვნახოთ, სულ ერთი დღის წინ ამასვე ამბობდა მექსიკელთა მწვრთნელიც.

ჯერჯერობით საბჭოთა ნაკრებს აქვს დრო ძალის აღდგენისთვის, რამდენიმე საწვრთნელი ვარჯიშისა და ორმხრივი მატჩების ჩატარებისთვის.

ა. კაჩალოვი,
ე. სარატოვი,
(საკდესის სპეც. კორესპონდენტები).



ეს ფოტოსურათი გადაღებულია მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე. „აცტეკზე“ ჯერ სრული სიმშვიდე და წესრიგია. მექსიკელი გულშემატკივრები საბილეთო სალაროების წინ გრძელ რიგში მშვიდად ელიან „ბედს“. სულ სხვაგვარი იყო „აცტეკი“ გუშინწინ, 31 მაისს, ჩემპიონატის საზეიმო გახსნისას. ასეთი იქნება იგი კიდევ სამი კვირის მანძილზე, განსაკუთრებით კი ფინალური მატჩის დღეს, როცა გამარჯვების ქალღმერთი ნიკე თავის საყვარელ გუნდს დაასახელებს.

პრესენს ბილდ — საკდესის ფოტო.

## სადილი ტელევიზორთან



ამ საზეიმო წუთს 4 წელიწადს ელოდა მთელი სამყარო.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ს. როუზმა გულთბილი სიტყვებით მიმართა შეკრებილთ და IX ჩემპიონატის დაწყება მიულოცა ფეხბურთელებს. მექსიკის პრეზიდენტმა დიას ორდასმა ოფიციალურად გახსნა ტურნირი. შემდეგ „აცტეკი“ გაყუჩდა — მაყურებლებმა ფეხზე ადგომით სცეს პატივი მექსიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნებს და... დაიწყო.

ს უ რ ა თ ზ ე: (მარცხნიდან) მექსიკის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტი კანედო, მექსიკის პრეზიდენტი დიას ორდასი და ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ს. როუზი ჩემპიონატის გახსნის საზეიმო ცერემონიალზე.



რამდენიმე წამის წინ სსრ კავშირის ნაკრები დაჯარიმდა საჯარიმო მოედანზე. მსაჯმა ჩენჩერმა (გფრ) თავისუფალი დარტყმა დანიშნა. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო მომენტი ჩვენს კართან, მაგრამ, საბედნიეროდ, კავაზაშვილის ოსტატური ნახტომის წყალობით ყველაფერი კეთილად დასრულდა.

ს უ რ ა თ ზ ე: საბჭოთა მცველებმა ცოცხალი კედელი აღმართეს კარის წინ. თავისუფალი დარტყმისთვის ემზადებიან ველარდე (მარცხნივ) და ერნანდესი.

(ფოტოსურათები ტელერეპორტაჟის დროს გადაიღო მ. ზარგარიანმა).



## „ჩერნომორეცი“ მეოთხედფინალში

ოდესა, 1 ივნისი. „ჩერნომორეცი“ პირველი გუნდია, რომელმაც გაინაღდა ფეხბურთში სსრ კავშირის თასის მეოთხედფინალში მონაწილეობის უფლება. გუშინ მან, თავის მოედანზე დაამარცხა ტერნოპოლის „ავანგარდი“ — 4:0. ამ გუნდების პირველი შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

ოდესელი ფეხბურთელები, მხედველობაში თუ არ მივიღებთ გუშინდელ მატჩს, დიდი გაჭირვებით მიიკვლევენ გზას თასის მატჩებში. ლიპეცკის „მეტალურგთან“, მაგალითად, „ჩერნომორეცს“ უშველა იმან, რომ პარკუიანი სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაშია შეყვანილი (წლევანდელი თასის დებულებაში არის ერთი ასეთი პუნქტი: თუ მეტოქეებმა ორივე შეხვედრა ფრედ დაამთავრეს, უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც მოთამაშე ჰყავს ნაკრებში).

„ჩერნომორეცის“ მეტოქე მეოთხედფინალში იქნება თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ შორის გამარჯვებული. ეს მატჩი გაიმართება ხვალ თბილისში (როგორც ცნობილია პირველი ბრძოლა დამთავრდა ფრედ — 1:1).

ეროვნული

# „ახლა კი მწვრთნელი ვარ“

ამას წინათ კინოეკრანზე ერთი ასეთი ეპიზოდი ვნახე: ტანკები ძალიან მწყობრად, მეტისმეტად ლამაზად მიიწევდნენ მეტოქეზე საიერიშოდ.

— ხშირად ხდებოდა ასე? — ვკითხე შოთა გულაძეს.

— არა, — მომიგო მან. — მე სახელგანთქმული „ტ—34“-ით ვიბრძოდი. ერთხელ და ორჯერ არ ვყოფილვარ სასტიკ ბრძოლაში და ვიცი, რომ იგი ძნელი იყო. ომი თამაში არ არის და კინოში მას არასერიოზულად არ უნდა ვეკიდებოდეთ.

დიდი სამამულო ომი შოთამ დაიწყო როგორც კურსანტმა, და დაამთავრა როგორც კაპიტანმა, ბერლინში დაამთავრა. ამ საბრძოლო გზაზე მან მთავრობის 12 ჯილდო მიიღო. შოთასთვის ყველა მათგანი ძვირფასია, მაგრამ აი, ერთი რადიომიმღები არანაკლებ ღირსეულ ჯილდოდ მიაჩნია. ეს რადიომიმღები შოთას 1945 წელს გადასცეს... ფეხბურთის მინდორზე გამოჩენილი მამაცობისთვის. იგი ჩინებულად ხელმძღვანელობდა მე-11 კორპუსის გუნდს და ბელორუსიის პირველი ფრონტის პირველი სატანკო არმიის ჩემპიონი გახდა. საუკეთესო თავდამსხმელი ერთი თვით შვებულებაში გაუშვეს. ერთი თვე გაატარა მებრძოლმა ქუთაისში და არ დაუსვენია. თავის ამხანაგებთან ერთად აწყობდა სპორტულ მოედნებს, მათთან ერთად მართავდა ტურნირებს.

1948 წელს შოთამ სამხედრო ტანსაცმელი გაიხადა და ახლა ქუთაისის დღევანდელ მანქანათმშენებელ ქარხანაში გარაჟის ხელმძღვანელობა ჩააბარეს. შემდეგ იგი სპეციალური სამსახურის, კადრებისა და ფონდის მთავარ ინჟინრად გადაიყვანეს ამიერკავკასიის გეოლოგიურ-სადაზვერვო კონტორაში. შოთამ აქ 1959 წლამდე იმუშავა და კოლექტივს დაუმეგობრდა.

მერე ქუთაისის მილიციის საქალაქო განყოფილებაში დაიწყო მუშაობა. აქაც საპასუხისმგებლო საქმე აბარია — უფროსი ოპერრწმუნებულია კადრების დარგში. მაგრამ შოთას ეს სამუშაო არ აკმაყოფილებს. ძიება, გამომძიებლის საქმე სწყურია. გამოსცადა კიდეც ამ სამუშაოს მიმზიდველობა, როცა 1965—1968 წლებში სპეცმიმღების უფროსად მუშაობდა.

...ა. სიამაშვილმა წარმატებით ჩაატარა რამდენიმე ქურდობა და ახლა მშვიდად ისვენებდა, შემდეგ რისკი გასწია და მორიგ მსხვერპლს ისევ მოუსინჯა ჯიბე. მაგრამ ამჯერად მას შოთა გულაძის „გაცნობა“ მოუხდა. ასე დააკავეს ერთ-ერთი იმ 40 დამნაშავიდან, რომლებსაც საკავშირო მასშტაბით ეძებდნენ.

1968 წელს შოთამ დაუსწრებლად დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობას დაეუფლა და ავტოინსპექტორი გახდა. ახლა იგი ავტოქარხანაში მუშაობს. ორნი არიან — ის და თანაშემწე. წესრიგის დარღვევების შემთხვევებმა ქარხანაში საგრძნობლად იკლო.

ახლა კი შოთას გატაცებას გაგაცნობთ: ეს სასტენდო სროლა გახლავთ. ერთხელ, 1959 წლის მაისში, შოთა სანადიროდ გაემგზავრა. მასთან ერთად იყო მსროლელთა მწვრთნელი შ. ნაჭყებიაც. შოთამ ყველაზე კარგად ინადირა და მწვრთნელმა ურჩია სროლისთვის სერიოზულად მოეკიდა ხელი. შოთა გულაძე სულ მალე გახდა პირველთანრიგოსანი. მაგრამ ამ წარმატებას შემდეგ მარცხი მოჰყვა: ტყვიები თითქოს განზებ არ ხვდებოდნენ მიზანში. შოთამ დიდი გულმოდგინეცა გამოიჩინა — სწავლობდა საუკეთესო მსროლელთა გამოცდილებას, შეუპოვრად ვარჯიშობდა და გაიტანა კიდეც თავისი. 1961 წლის რესპუბლიკურ პირველობაში იგი წარმატებით გამოვიდა სასტენდო სროლაში — 200 შესაძლებლიდან 190 ქულა დააგროვა. ეს II ადგილს და სპორტის ოსტატის ნორმას ნიშნავდა. ამ წარმატებაში „ბრალი მიუძღვოდა“ შოთას მეორე მწვრთნელს კ. ლორიასაც.

ქუთაისში შოთა გულაძე პირველი სპორტის ოსტატია სასტენდო სროლაში. თუმცა ამ ქალაქში სპორტის ეს სახეობა 1925 წლიდანაა დანერგილი.

გულაძეს მსროლელთა ყველა საზრუნავი აინტერესებს: რატომ არ უზრუნველყვეს მრგვალი სტენდი ელექტრული მანქანებით, რატომ არ ჩანან სარბიელზე ახალგაზრდა მსროლელები.

ვფიქრობთ, ამ შეკითხვებს ქუთაისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მუშაკები მალე გასცემენ დადებით პასუხს.

ჯერჯერობით კი მილიციის მაიორი გულაძე საზოგადოებრივი მწვრთნელია. შოთას აღზრდილები — მისი ვაჟი ირაკლი და ა. სამორიადოვი უკვე პირველთანრიგოსნები არიან. თანაც, ისინი სულ ერთი წელია მეცადინეობენ.

## სპორტსმენები — წესრიგის დამცველები



ესე იგი, შოთასთვის ტყუილად არ მიუციათ სიგელი, სადაც წერია: „ქუთაისის „დინამოს“ საქალაქო საბჭო ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში აქტიური მონაწილეობისთვის აჯილდოებს საზოგადოებრივ მწვრთნელს შ. გულაძეს“.

აქვე უნდა დავუმატოთ, რომ შოთას ხშირად შეხვდებით გატაცებით მოასპარეზეს ფეხბურთისა თუ კალათბურთის მოედნებზეც...

**ვ. ბერიკაშვილი,**
**ჩვენი სპეც. კორ.**

ქ. ქუთაისი.

• • •

სურათზე: მარცხნიდან — ა. სამორიადოვი, შ. გულაძე და მისი ვაჟი ირაკლი.

ფოტო ავტორისა.

# აქტუალური პრობლემების გადასაჭრელად

„ლელო“ ინტერვიუ

**როცა ჩვენს სახელოვან სპორტსმენთა გამარჯვებებზე ვწერთ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ წარმატებაში დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტულ მედიცინაში მოპოვებულ მიღწევებს, სამკურნალო ფიზკულტურას, სპორტსმენთა საექიმო კონტროლსაც. სწორედ საექიმო ფიზკულტურის თანამედროვე პრობლემებზე ესაუბრა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს ა. მხეიძეს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის, სამკურნალო ფიზკულტურისა და საექიმო კონტროლის კათედრის გამგე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი რ. სვანიშვილი.**

● **რა ძირითად საკითხზე მუშაობს თქვენი კათედრა?**

— კათედრის მეცნიერ-თანამშრომლები მუშაობენ ერთ ძირითად პრობლემაზე — ადამიანის ორგანიზმის ცვლილებებზე ნორმასა და პათოლოგიაში სხვადასხვა სახის ფიზიკურ დატვირთვასთან დაკავშირებით.

● **ფიზიკური აღზრდის რა საკითხებს ამუშავებთ?**

— კათედრა შეისწავლის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტთა ფიზიკურ განვითარებასა და ფიზმომზადების საკითხს ფიზიკური აღზრდის კურსზე ახალ სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხი ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში თავისებური სიახლეა და ამ საქმეში სამედიცინო პერსონალთან ერთად კათედრის ფიზაღზრდის მასწავლებლებიც გვყავს ჩაბმული. საკითხის მეცნიერული შესწავლა გარკვეულ კორექტივს შეიტანს უმაღლეს სასწავლებლებში ფიზაღზრდის სწავლების გაუმჯობესებაში.

● **გთხოვთ გვიამბოთ სამკურნალო ფიზკულტურის კათედრის საქმიანობაზე.**

— სამკურნალო ფიზკულტურის კათედრა ამუშავებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა სამკურნალო ფიზკულტურა ხერხემლის სხვადასხვა დაზიანების დროს, ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებებისა და გულსისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიის საკითხებთან დაკავშირებით. ვცდილობთ, შევიმუშაოთ ცალკეულ დაავადებათა შემთხვევაში ავადმყოფის მოძრაობითი რეჟიმიც. როგორც ცნობილია, ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სხვადასხვა დაავადების კომპლექსურ მკურნალობაში ფიზიკური ვარჯიშების ადრიდანვე გამოყენებას. წარსულში მედიცინაში გაბატონებული იყო აზრი, რომ მკურნალობა ძირითადად ავადმყოფის წოლითი რეჟიმის პირობებში უნდა წარმართულიყო, დღეს კი თითქმის ყველა დაავადების ქრონიკულად მიმდინარეობის შემთხვევაში რაციონალურად გამოყენებულმა დოზირებულმა ფიზიკურმა დატვირთვამ (სამკურნალო ტანვარჯიში, მექანოთერაპია, მასაჟი და სხვ.) შეუძლია თვალსაჩინოდ დააჩქაროს ავადმყოფის გამოჯანმრთელება, რაც მთავარია, შრომითი ფუნქციის სრული ან ნაწილობრივი აღდგენა. მაგალითად, ისეთი მძიმე დაავადების გადატანის შემდეგ, როგორიცაა გულის კუნთის ინფარქტი, სტაციონარის პირობებში სამკურნალო ფიზკულტურის მეთოდით ავადმყოფი ფიზიკურად აქტიური ხდება და ბევრად უფრო ადვილად უბრუნდება შრომით საქმიანობას. თუ წარსულში თავის ტვინში სისხლის ჩაქცევის შედეგად განვითარებული დამბლა უმრავლეს შემთხვევაში ადამიანს სამუდამო ხეიბრად ტოვებდა, დღეს ფიზიკური მეთოდებით ინტენსიურმა და ხანგრძლივმა მკურნალობამ შესაძლებელია მას დაუბრუნოს ისეთი მოძრაობითი ჩვევები, რაც აუცილებელია ადამიანის თვითმომსახურებისთვის. დადგენილია, რომ ბავშვებში ძალიან ხშირია ხერხემლის გამრუდება. ამ მეტად უსიამოვნო ფიზიკური დეფექტის თავიდან აცილებისთვის წამყვანი მნიშვნელობა სამკურნალო ფიზკულტურას ენიჭება.

● **და ბოლოს, გთხოვთ გვიამბოთ სპორტსმენთა საექიმო კონტროლის დარგში მიღწეულ წარმატებებზე.**

— კათედრა მრავალი წელია მუშაობს საექიმო კონტროლის ანუ სპორტული მედიცინის დარგში, სპორტსმენის სხეულის გავარჯიშების დიაგნოსტიკის საკითხებზე. ცნობილია, რომ თანამედროვე სპორტი ფიზიკური ვარჯიშის დროს ინტენსიურ და ხანგრძლივ კუნთურ მუშაობას მოითხოვს. სპორტის ფიზიოლოგიიდან ცნობილია, რომ ზოგიერთი ფიზიკური დატვირთვის დროს სპორტსმენს მაჯისცემა შეიძლება წუთში 250 დარტყმამდე გაუხშირდეს, ხოლო არტერიული სისხლის წნევა 240 მილიმეტრამდე ავიდეს. პრაქტიკამ ნათელყო, რომ ყველა სპორტსმენის ორგანიზმი ერთნაირად ვერ ეგუება ერთსა და იმავე ფიზიკურ დატვირთვას, რომლის დოზირება საექიმო შემოწმების მონაცემების საფუძველზე უნდა ხდებოდეს. კათედრაზე დამუშავდა კომპლექსური კლინიკურ-ფიზიოლოგიური გამოკვლევის მეთოდი, რომლითაც შესაძლებლობა გვეძლევა დავადგინოთ სპორტსმენთა გავარჯიშების მდგომარეობა სხვადასხვა საწვრთნელ-სამეცადინო პერიოდის შესაბამისად. ზემოაღნიშნულის გარდა, კათედრა დიდ ადგილს უთმობს სპორტსმენის გადაღლილი ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობის შესწავლას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სპორტული მაჩვენებლების გაზრდისთვის.

აი, იმ საკითხთა არასრული წრე, რომლებზეც ჩვენი კათედრის მეცნიერ-თანამშრომელთა კოლექტივი მუშაობს.



კალუგაში ამას წინათ დამთავრდა აკრობატთა საკავშირო ჩემპიონატი.

სურათზე: შერეულ წყვილთა შორის გამარჯვებულები გ. ვასიანინა და ი. საველიევი (რსფსრ) შეჯიბრების დროს.

პ. მასლოვის (საკდესი) ფოტო.

## [illegible]

### ✦ სოხუმი

აფხაზეთის პირად-გუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში კოლმეურნე სპორტსმენთა შორის სოხუმის რაიონის წარმომადგენლებმა მოიგეს. ჩემპიონები გახდნენ: ა. მალანია, ზ. ხასაია (ორივე — გალი), ნ. ლვინჯილია, (გულრიფში), ნ. კაკავიძე, რ. ჩხეტიანი, მ. მეფარიშვილი, შ. თოდუა, ც. ნადირაძე, რ. ასმავა, პ. ქათამაძე (ყველა — სოხუმის რაიონი).

**შ. ჯალაღონია.**

### ✦ თერჯოლა

რაიონის მოსწავლეთა გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში ადგილობრივი საშუალო სკოლის სპორტსმენებმა მოიგეს.

**ვ. კუტალაძე.**

### ✦ სოხუმი

გაიმართა ქალაქის პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. I ადგილები მოიპოვეს: ტ. ჩაინიკოვმა, გ. ოქსუზიანმა, რ. ლემონჯავამ, ს. ბუიუკლიანმა, ს. შაბლახოვმა, ს. კსანტინიდიმ, გ. ანტონიადიმ, ა. მინასიანმა, რ. ესთავამ, ი. გველესიანმა, გ. ყურაშვილმა.

**გ. პოლოსიანი.**

### ✦ მახარაძე

საინტერესო იყო „კოლმეურნის“ რაიონული პირველობა კალათბურთსა და კლასიკურ ჭიდაობაში. კალათბურთში გაიმარჯვეს ლაითურელებმა. კლასიკურ ჭიდაობაში ჩემპიონები გახდნენ: ა. კუბლაშვილი (ნატანები), ი. ხომერიკი (ბოხვაური), ი. ზურაბიანი (სოფ. მახარაძე), შ. შოვნაძე (ნატანები), პ. გულბიანი (ექადია), მ. ხაბალაშვილი, თ. მინდიაშვილი, ა. დოლიძე (ყველა — ლაითური), ა. ლომაძე, გ. მიმინოშვილი (ორივე — ნატანები).

**შ. კილურაძე.**

### ✦ გურჯაანი

აქ გაიმართა „განთიადის“ რაისაბჭოს პირველობა ფეხბურთში. I ადგილი დაისაკუთრა კარდანახის ღვინის ქარხნის კოლექტივმა, II — გურჯაანის ღვინის ქარხნის ნაკრებმა, III — გურჯაანის მექანიკური ქარხნის გუნდმა.

**გ. წიკლაური.**

# ნაყოფიერად მუშაობენ

ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა პარკის ბაზაზე ბავშვთა სპორტულმა სკოლამ ერთ დროს ჩამოაყალიბა ნორჩ ფეხბურთელთა 2 ჯგუფი. მათ ხელმძღვანელობდნენ წარსულში ცნობილი ფეხბურთელი, სპორტის ოსტატი ბ. ფროლოვი და გ. თინიკაშვილი. ეს იყო დასაწყისი. ნორჩებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს მეცადინეობისადმი და 1956 წელს ამ ორმა ჯგუფმა იმატა ისე, რომ გადაიქცა ბავშვთა საფეხბურთო სკოლად (დირექტორი რ. მეტრეველი), სადაც 10-16 წლის 205 ბავშვია გაერთიანებული. მათთან მუშაობენ ლ. კობიძე, რ. ეგიზარიანი, ი. კუსიდი, რ. მეტრეველი, გ. ჩავლეიშვილი, ჩ. მიხელაშვილი, ზ. ზარბაზოია, ხოლო მეკარეებთან მეცადინეობს ა. კვაჭაძე.

გადავხედოთ სკოლაში აღზრდილ ფეხბურთელთა სიას. სწორედ აქ აიდგეს ფეხი ი. დათუნაშვილმა, ა. კავაზაშვილმა, ა. კვაჭაძემ, რ. კვასხვაძემ, რ. ძნელაძემ, ვ. ჯოხაძემ, ზ. დანელიამ და სხვ. ახალი თაობის მოთამაშეთაგან აღნიშვნის ღირსი არიან თ. კვახაძე, ა. ონიანი, მ. ჩხაიძე, გ. აივაზოვი, რ. გორდელაძე, ვ. კვიტაიშვილი, ტ. ვერულაძე, ბ. გიორგაძე, ს. რამიშვილი, ს. ოვანესიანი, ვ. ქორიძე, ჯ. მორჩილაძე...

სკოლის ნაკრებ გუნდებს სხვადასხვა დროს გარკვეული წარმატებები აქვს მოპოვებული დიდ შეჯიბრებებში.

მაგრამ სკოლის მუშაობას საგრძნობლად აფერხებს ის, რომ მას არა აქვს ხეირიანი სათამაშო მინდორი. აჭარის კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო კონტორამ ითავა მინდვრის გაკეთება, მაგრამ იგი ყოვლად უვარგისია. მწვრთნელთა განკარგულებაში არაა სპეციალური, შემსუბუქებული ტიპის ბურთები, არა აქვთ საშხაპე და ა. შ. ნორჩ ფეხბურთელებს მეტი ყურადღება ესაჭიროებათ და, ეჭვი არაა, მათი რიცხვიდან კვლავ აღიზრდებიან ახალი ოსტატები.

**ლ. ქავჟარაძე.**

ბათუმი.

# ბრძოლა განახლდა გორში

30 მაისს რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში შედგა ტრადიციული ტურნირის „თბილისური ნახევრის“ დასკვნითი, VII ტური. ბრძოლა ყველა შეხვედრაში უშეღავათო იყო.

იმარჯვეს ლიდერებმა: ე. რუბცოვამ (მოსკოვი) მოუგო ლ. კორომშინაძეს, ხოლო ა. ნიკოლაუმ (რუმინეთი) — ც. კახაბრიშვილს. ე. კაკაბაძემ დაამარცხა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ო. რუბცოვა (მოსკოვი). დანარჩენი პარტიები გადაიდო.

31 მაისს დილით ტურნირის მონაწილენი და მსაჯები გორს ჩავიდნენ, სადაც მათ გულთბილი შეხვედრა ელოდათ. ყველა სასტუმრო „ინტურისტში“ დაბინავდა. საღამოს გ. ერისთავის სახელობის თეატრში გათამაშდა VIII ტური.

აი, რა შეგვატყობინა ჩვენმა კორესპონდენტმა, პირველთანრიგოსანმა გორელმა მოჭადრაკემ ჯ. ინჯიამ:

— ყურადღების ცენტრში, რა თქმა უნდა, ალექსანდრია — ნიკოლაუს შეხვედრა იყო. ნანა გორს ჩამოვიდა მოსკოვიდან, სადაც კომკავშირის XVI ყრილობამ იგი საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრად აირჩია. ალექსანდრიამ რთული ბრძოლა გააჩაღა. შუა თამაშში მან მეტოქეს ფიგურა შესწირა სამ პაიკში. სწორედ გადამწყვეტ მომენტში იგი ცაიტნოტში აღმოჩნდა, შემდეგ მცდარი კომბინაცია წამოიწყო — ეტლში ლაზიერი შესწირა და ...38-ე სვლაზე დროს გადააცილა. პოზიცია უკვე უიმედო იყო.

ბულგარეთის ჩემპიონმა ა. გეორგიევამ მოუგო ო. რუბცოვას, კორომშინაძემ — კაკაბაძეს.

სხვა პარტიები გადაიდო. ე. რუბცოვას პაიკი აკლია ო. ანდრეევასთან (ხარკოვი).

8 ტურის შემდეგ ა. ნიკოლაუს 7 ქულა აქვს, ე. რუბცოვას — 6 ქულა და 1 გადადებული პარტია, ა. გეორგიევას — 5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

# წინაა ბერლინი და ედმონტონი

სპორტის ბევრი სხვა სახეობის წარმომადგენელთაგან განსხვავებით, ხალიჩის ოსტატებს მშვიდი სეზონები არა აქვთ. კლასიკურ ჭიდაობაში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები ყოველწლიურად ტარდება. ამას დავუმატოთ საბჭოთა კავშირის პირადი და გუნდური პირველობაც, სადაც ბრძოლის სიმძაფრე ნაკლები სულაც არ არის. არც ისე დიდი ხანია გასული მას შემდეგ, რაც საბჭოთა მოჭიდავეებმა მედლების მდიდარი მოსავალი მოიმკეს (ექვსი ოქრო, ერთი ვერცხლი, სამი ბრინჯაო) არგენტინის ქალაქ მარ-დელ-პლატაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში. აქ პირველად მოხდა, რომ არც ერთი საბჭოთა სპორტსმენი უმედლოდ არ დარჩა. პირველად შემოიღეს ახალი წონითი კატეგორია (48 კგ-მდე), რამაც, სხვათა შორის, სსრ კავშირის ნაკრებს ცოტა გაურთულა მდგომარეობა (ქვეყნის პირველობა ამ წონით კატეგორიაში არ ტარდებოდა). გუნდური გამარჯვებისთვის აქ პირველად გასცეს არა თასი, არამედ მედლები. საბჭოთა მოჭიდავეებს ახსოვდათ წარუმატებელი გამოსვლა მეხიკოს ოლიმპიადაში და არგენტინაში თავგანწირულად იბრძოდნენ.

წინ ახალი გამოცდებია. ესაა ჯერ ევროპის პირველობა ბერლინში (ივნისი), შემდეგ კი ასპარეზობა კანადის ქალაქ ედმონტონში, სადაც ივლისის დამდეგს მსოფლიო ჩემპიონატი მოეწყობა. საბჭოთა მოჭიდავეები იბრძოლებენ მსოფლიოს საუკეთესო გუნდის ტიტულის შენარჩუნებისთვის.

მზადება ჯერ კიდევ ზამთარში დაიწყო, პირველი შემოწმება კი ომსკისა და ტალინის საკავშირო ჩემპიონატში, ბულგარეთის (პეტროვის სახელობის) და დონის როსტოვის (პოდუბნის მემორიალი) საერთაშორისო ტურნირებში მოეწყო.

რა გვიჩვენა ამ სტარტებმა?

მე ვესაუბრები ა. იურკევიჩს, რომელიც ახლახან დანიშნეს სსრ კავშირის ნაკრების უფროს მწვრთნელად. სულ ახლო წარსულში ბრწყინვალე მოჭიდავემ და მსოფლიო ჩემპიონმა ჯერ კიდევ შემოდგომით აღიარა ჩემთან საუბარში, რომ მიუნხენის ოლიმპიადაში გამარჯვებაზე ოცნებობდა, მაგრამ ცხოვრებამ მის გეგმებში მაინც შეიტანა ცვლილებები და ჩემპიონი მწვრთნელი გახდა.

— მთავარ სიძნელეს შემადგენლობის დადგენა წარმოადგენს, — ამბობს იურკევიჩი. — ჩვენ შეგვეძლო ორი თანაბარძალოვანი კოლექტივი გამოგვეყვანა, მაგრამ, სამწუხაროდ, ბერლინშიცა და ედმონტონშიც მხოლოდ თითო გუნდის გაგზავნის უფლება გვაქვს.

იურკევიჩი გვისახელებს ნაკრების კანდიდატებს. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სეზონი ახალგაზრდობის მძლავრი იერიშით დაიწყო. ტალინში, მაგალითად, 1969 წლის ხუთი საკავშირო ჩემპიონიდან მხოლოდ სამი ასპარეზობდა და სამივემ წააგო. ვოლგოგრადელმა ვ. პორნიცკიმაც, სომხეთის წარმომადგენელმა ჟ. ზახარიანმაც, ალმაათელმა ა. ნაზარენკომაც.

ზახარიანმა 20 წლის ბუხარელ ა. შადიევთან დამარცხების შემდეგ საერთოდ მანუგეშებელ ჯგუფში დაამთავრა ტურნირი. პორნიცკის მარცხი კი, რომელიც ბარნაულელი ნ. ფალკოვის მოგერდის შემდეგ ხალიჩაზე აღმოჩნდა გაკრული, თავდაპირველად შემთხვევითი გვეჩვენა, — ამბობს მწვრთნელი. მაგრამ შემდეგ უფრო გულდასმით დავაკვირდი ფალკოვს, სულაც არ გამკვირვებია ჩემპიონი რომ გახდა.

ნიკოლოზ ფალკოვი თავისებური ფიგურაა. იგი ტაიმირის ნახევარკუნძულზე დაიბადა და საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ ყველაზე მცირერიცხოვანი ერის — სოხების წარმომადგენელია. პროფესიით იგი მონადირე — მეირმეა. ჭიდაობის ხელოვნებას მხოლოდ ამ ექვსი წლის წინ გაეცნო ნორილსკში. მისი წარმატება საკავშირო ჩემპიონატში კიდევ ერთხელ ადასტურებს, რამდენად პოპულარულია სსრ კავშირში კლასიკური ჭიდაობა.

სეზონის კიდევ ერთი აღმოჩენაა ახალგაზრდა ქართველი მოჭიდავე ბ. ლეკვეიშვილი. მან შეძლო ეჯობნა თავისი სახელგანთქმული თანამემამულის, მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონის რ. რურუასთვის, რომელსაც აგერ უკვე შვიდი წელია არავისთან წაუგია. მარტო დიდმა გამოცდილებამ შეაძლებინა ვეტერანს მაინც მოეგო ქვეყნის პირველობა.

იურკევიჩი აღნიშნავს, რომ ახალ წონით კატეგორიაში (48 კგ-მდე) გამოჩნდა ნიჭიერი და ძალიან პერსპექტიული მოჭიდავეების მთელი პლეადა. ესენი არიან მინსკელი ვ. ზუბკოვი, ლენინგრადელი ა. ვაინბერგი და სხვები. აუცილებლობის შემთხვევაში ზედმეტი კილოგრამებისგან გათავისუფლება შეუძლიათ მეზობელი კატეგორიის ოსტატებსაც — იმავე ა. შადიევს, ი. სოკოლოვს, ა. ხანგელდიევს.

— თუ არგენტინაში ომსკელმა გ. კუსტოვმა ბრინჯაოს მედალი მოიგო, — ამბობს ნაკრების უფროსი მწვრთნელი, — კანადაში უფრო მაღალი ჯილდოს იმედიც გვაქვს.

ახლა თითქმის ყველა წონით კატეგორიაში გვყავს რამდენიმე, შეიძლება ითქვას, თანაბარი ძალის ოსტატი, რასაც ამტკიცებს მათი გამოსვლები სხვადასხვა შეჯიბრებაში. მაგალითად, მოსკოველი ა. კიმსტაჩი ნ. დავიდიანთან (გროზნო) მეტოქეობაში სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა. ერთი თვის შემდეგ, პოდუბნის მემორიალში უკვე დავიდიანმა აჯობა კიმსტაჩს და, ამასთან, სპეციალური პრიზიც დაიმსახურა საუკეთესო ტექნიკისთვის. იგივე შეიძლება ითქვას ნაზარენკოზე, რომელმაც ჩემპიონის წოდება (82 კგ-მდე) წააგო თ. მაჭავარიანთან, მაგრამ როსტოვში გაიმარჯვა.

სეზონის ყველა პირველ ტურნირში სარბიელზე გამოჩნდნენ ახალგაზრდა მოჭიდავეები, რომლებმაც ოსტატებზე მიიტანეს იერიში. საკმარისია ითქვას, რომ ომსკში უძლიერესის სახელი ვერ მოიპოვეს ვერც მსოფლიო ჩემპიონმა რ. კაზაკოვმა, ვერც ევროპის ჩემპიონმა ს. აგამოვმა, ვერც ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა ი. კოჩერგინმა. თავისი ტიტული შეინარჩუნა მხოლოდ სამგზის მსოფლიო ჩემპიონმა ვ. იგუმენოვმა.

სსრ კავშირის ჩემპიონობა პირველად დაისაკუთრა ომსკელმა ჰ. ტიმაშოვმა (62 კგ-მდე). ამ წონით კატეგორიაში კიდევ უფრო პერსპექტიულ მოჭიდავედ გაგვაცნო თავი 20 წლის გროზნოელმა გ. კარაგეურმა. მწვრთნელი მაღალი აზრისაა ალმაათელ საშუალო წონის მოჭიდავე ვ. რიაზანცევზე, რომელმაც ჩემპიონის პოსტზე შეცვალა იურკევიჩი. სპორტული ზაფხულის პირველი ბრძოლები ძალიან კარგად ჩაატარეს მსოფლიოს ჩემპიონებმა იუნიორთა შორის შ. მორჩილაძემ და ესტონელმა ე. როონემ.

ვეტერანებმა მხოლოდ 57 კგ-მდე კატეგორიაში შეინარჩუნეს სალიდერო პოზიციები: ქვეყნის ჩემპიონატში მათ სამი პირველი ადგილი დაიკავეს. აქ გამარჯვებულმა კ. ოლზოევმა (ნოვოსიბირსკი) შემდეგ პოდუბნის მემორიალიც მოიგო. აქაც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდა ყაზანელმა მოჭიდავემ ნ. ისმაილოვმა — მტკიცე ნებისყოფისა და მრავალმხრივმა სპორტსმენმა.

ახალგაზრდა ოსტატებმა გამოცდა კარგად ჩააბარეს საერთაშორისო სარბიელზეც. პოდუბნის მემორიალში, მაგალითად, ყველაზე დაბალი წონითი კატეგორიის მოჭიდავეთა შორის უძლიერესი, სპეციალისტებისთვის მოულოდნელად, ვ. ზუბკოვი აღმოჩნდა. მან არა მარტო გამოცდილი საბჭოთა მოჭიდავეები და უცხოელი სტუმრები დაამარცხა, არამედ პრიზიც მიიღო სიმტკიცისა და გამარჯვებისკენ სწრაფვისთვის. ბევრ ცნობილ მოჭიდავეს აჯობა მორდოველმა ახალბედამ კ. ხალილოვმა (საკავშირო ალკკ XVI ყრილობის დელეგატი).

ერთი სიტყვით, მე კარგად მესმის ა. იურკევიჩისა, რომელსაც უჭირს თანაბარი ძალის სპორტსმენთა შორის საუკეთესოების შერჩევა. მეორეს მხრივ, ეს სასიამოვნო საზრუნავია. მწვრთნელი, რომელიც ეს-ესაა დაბრუნდა ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირიდან, თავის აღსაზრდელებს იოლი გამარჯვებით არ აიმედებს.

— უცხოეთში უკვე ისწავლეს მოჭიდავეთა ისე მომზადება, რომ მათ საუკეთესო ფორმას სწორედ დიდი შეჯიბრებებისთვის მიაღწიონ, — ამბობს იურკევიჩი. — შეიძლება ითქვას, რომ ფიზიკური და ტექნიკური მომზადებით საუკეთესო საზღვარგარეთელი სპორტსმენები ჩვენებს არ ჩამოუვარდებიან. მხოლოდ გონივრულ ბრძოლას, ტაქტიკურ მოქნილობას, ყველაზე რთულ, დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვების მოპოვების უნარს შეუძლია მოგვიტანოს პირველობა მსოფლიო და ევროპულ ჩემპიონატებში.

ნ. ფომიჩევი.

## სწორად ამოხსნეს

„ლელოს“ 23 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა ჯ. მახათაძის (ზესტაფონი) სამი საჭადრაკო ამოცანა, რომლებიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს ეძღვნებოდა. ამოცანები სწორად ამოხსნეს: რ. კახიძემ (ბათუმის რაიონი, სოფ. ქვემო ჩხუტუნეთი), ე. გოგოჭურმა (გარდაბნის რაიონი, სოფ. სართიჭალა), თ. როდინაძემ, თ. კაკაბაძემ (ორივე — ბათუმი), მ. დოლიძემ, ფ. ჩავლეიშვილმა (ორივე — მახარაძე), მ. ფარცხალაძემ, გ. პლახოტნიკოვმა (ორივე — ზესტაფონი).

ამოცანების ამოხსნა: № 1. 1. ეe1 მფd4 2. ეc1. № 2. 1. მფe1 (f1), № 3. 1. კe8.

### ჩხოროწყუ

დამთავრდა რაიონის სასკოლო პირველობა ფეხბურთში. კალენდრით გათვალისწინებული ხუთივე შეხვედრა მოიგეს ჩხოროწყუს 1-ლი საშუალო სკოლისა და ლესიჭინის ჩაის საბჭოთა მეურნეობის საშუალო სკოლის გუნდებმა. მათს შორის დამატებით მატჩში გაიმარჯვეს ლესიჭინელებმა — 3:0.

ს. ჯალაღონია.

## სსრ კავშირის პირველობა

I ქვეჯგუფის II ზონა

29 მაისს გაიმართა მორიგი, V ტურის მატჩები. გატყობინებთ შედეგებს:

### ცხინვალი

ადგილობრივი „სპარტაკი“ მასპინძლობდა ფოთის „კოლხეთს“. პირველი ტაიმი ერთობ უფეროლი გამოდგა, ორივე გუნდი თამაშობდა ნელ ტემპში და ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა — 0:0. შესვენების შემდეგ მეტოქეები უფრო გააქტიურდნენ, განსაკუთრებით — „კოლხეთი“. შეხვედრის 70-ე წუთზე ფოთელმა ამაღლობელმა „სპარტაკის“ მცველთა შეცდომა კარგად გამოიყენა და გახსნა ანგარიში — 1:0. ამის შემდეგ ფოთელთა დაცვას დიდი ტვირთი დააწვა: მასპინძლებმა რამდენიმე შეტევა განახორციელეს და ბოლოს კაზიევის მოწოდებული ბურთი იობიძემ ზუსტი დარტყმით კარში გაგზავნა—1:1. როცა თამაშის დამთავრებას 2 წუთი აკლდა, კაზიევმა ახლოდან აიცდინა ბურთი კარს.

ვ. მელქოევი.

* * *

ამ დღეს გამართული სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „მეშახტე“ (ტყიბული) — „მერცხალი“ (მახარაძე) 2:1, „სულორი“ (ვანი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 0.0, „პროგრესი“ (კამენსკ-შახტინსკი) — „კახეთი“ (თელავი) 0:3, „ორბიტა“ (ბელაია კალიტვა) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 0:1, „მეტალურგი“ (კრასნი სულინი)—„ალაზანი“ (გურჯაანი) 1:0, „სპარტაკი“ (რიაზანი) — „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) 0:1, „სპარტაკი“ (ტამბოვი) — „ტორპედო“ (ეისკი) 0:2, „სპარტაკი“ (სარანსკი) — „დინამო“ (სოხუმი) 2:0.

# ყოველი მხრიდან

## სუსტი მეხსიერება

თასის მფლობელთა თასის გათამაშების ფინალური მატჩი „მანჩესტერ სიტისა“ და „გურნიკს“ (ზაბჟე) შორის, ინგლისელებმა მოიგეს — 2:1. შეხვედრას არავითარი ინციდენტი არ მოჰყოლია. მატჩის შემდეგ მოთამაშეებმა მეგობრულად გადაჰხვიეს ერთმანეთს ხელი და ისე დატოვეს მინდორი. ავსტრიის ტელევიზიამ შეხვედრის ტრანსლაცია მოაწყო (ფინალი ვენაში ჩატარდა) და არც ამას გამოუწვევია რაიმე გაუგებრობა.

უთანხმოება დაიწყო „კადრებს მიღმა“, დასავლეთ გერმანიის ტელესტუდიაში. რეპორტაჟის დაწყებისთანავე ერთ-ერთმა იმ კომენტატორების წრიდან, რომელთაც აშკარა რევანშისტული პროპაგანდის გამო „სამუდამოდ გუშინდელებს“ ეძახიან, განაცხადა, რომ ქალაქ ზაბჟეს პოლონურ სახელწოდებას არ მიიღებს და „საქმის გასარკვევად“ (?!) მას „გინდენბურგს“ უწოდებს (ასე ეძახდნენ ზაბჟეს ფაშისტები პოლონეთის ოკუპაციის დროს — რედ.).

პოლონეთის გაზეთმა „ტრიბუნა ლიუდუმ“ ღირსეული პასუხი გასცა „სუსტი მეხსიერების მქონე დამპყრობელს“ და მის რეპორტაჟს „ბონის რევანშისტული პოლიტიკის აშკარა გამოვლინება უწოდა“. არადა, 1972 წლის ოლიმპიადა, რომელიც მიუნჰენში უნდა ჩატარდეს, ცხრა მთის იქით აღარ არის. რამდენად შეეფერება დასავლეთგერმანული ტელეკომენტატორის განცხადება ყველა ქვეყნის სპორტსმენთა მეგობრობისა და ურთიერთანამშრომლობის ოლიმპიურ იდეალებს?

## ანაზღაურებული დაცემა

პროფესიულ კრივში ძალიან ხშირად ხდება სკანდალი მოკრივეთა მოსყიდვის, სისხლისღვრის, მკვლელობის, დოპინგის გამოყენების გამო. ამას წინათ კიდევ ერთი „საქმე“ გახდა ცნობილი. პოპულარულმა გაზეთებმა — იტალიის „გაზეტა დელლო სპორტმა“, „ტუტო-სპორტმა“ და „ეკიპმა“ (საფრანგეთი) „ევროპის სპორტის ისტორიაში უდიდესი სკანდალი“ უწოდეს მძიმე წონის პროფესიონალთა მატჩს ევროპის ჩემპიონის სახელისთვის.

უძლიერესის წოდებისთვის იბრძოდნენ ამჯერად უკვე კონტინენტის ექს-ჩემპიონი ვაილანდი (გფრ) და ესპანელი ურტაინი. მეშვიდე რაუნდში დასავლეთგერმანელი მოკრივე მოცელილივით წაიქცა, თუმცა, როგორც ამ შეხვედრის მოწმენი ამბობენ, ესპანელის ხელთათმანი მას არც კი შეჰხებია.

როგორც გაზეთები წერენ, ამ ნოკაუტისთვის დასავლეთგერმანელ მოკრივეს ფული გადაუხადეს. ამასთან, ქრთამი სარეკორდო იყო — 5 მილიონი პესეტი. მსაჯმა თავისი საქმე გააკეთა, ათამდე დაითვალა. ახლა, როგორც ჩანს, ჯერი იუსტიციის მსაჯულებზე მიდგა.

## აჩქარდნენ...

მექსიკის ფეხბურთელთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა რაულ კარდენასმა სპორტული რეჟიმის დარღვევისთვის კანდიდატთა სიიდან ამოშალა ორი მოთამაშე — ნუნიესი და სისნეროსი. რაში გამოიხატებოდა ეს რეჟიმის დარღვევა?

როგორც ცნობილი გახდა, ჩემპიონატის ორგანიზატორებმა სტუმრების ნაკრები გუნდებისთვის მოამზადეს საჩუქრები, მათ შორის, მაგარი მექსიკური სასმელები. ბოთლებს ჰქონდა წარწერა: „გახსენით მხოლოდ პირველობის დამთავრების შემდეგ“.

ნუნიესმა და სისნეროსმა წვრთნაზე დააგვიანეს. როგორც გამოირკვა, მათ იჩქარეს ამ ბოთლების გახსნა და დაისაჯნენ კიდეც.

## ოლიმპიური მათუსალა

კანადაში მსროლელთა შეჯიბრება ჩატარდა. როცა მსაჯებმა ქულები დათვალეს, გამოირკვა, რომ პისტოლეტით ყველაზე ზუსტად უსვრია დღემდე ყველასთვის უცნობ სპორტსმენს ტომ ბინგლს. მან დიდი უპირატესობით აჯობა თავის მეტოქეებს, რომელთა შორის ქვეყნის ნაკრების ორი წევრიც იყო.

ჟურნალისტებთან საუბარში გამარჯვებულმა განაცხადა:

— აუცილებლად გამოვალ 1972 წლის ოლიმპიურ თამაშებში.

ეს განცხადება არავითარ სენსაციას არ გამოიწვევდა, ტომ ბინგლი... 83 წლის რომ არ იყოს!

## ახალი ამბები

● **მოდესტო**, 30 მაისი. აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მძლეოსნებმა რამდენიმე მაღალი შედეგი მოიპოვეს. რ. ბრაუნმა და ვ. ელიოტმა ერთნაირი სიმაღლე — 222 სმ დაძლიეს, რაც წლეულს საუკეთესოა მსოფლიოში. პირველობა ბრაუნს დარჩა. ჯ. პენელიმ (ყველა — აშშ) — ჭოკით 533 სმ გადალახა და 549 სანტიმეტრს შეუტია, მაგრამ ამაოდ. სამხტომი მოიგო ინდოელმა მ. ჯილიმ — 16,09, მსოფლიოს რეკორდსმენის რ. მათესის ბირთვი 21,24 მეტრზე დაეცა, ჯ. სილვესტრის ბადრომ კი 64,54 მეტრზე იფრინა. 100 მეტრი ჯ. კარლოსმა 10,0 წამში გაირბინა, მაგრამ მას ამჯერად ქარი ეხმარებოდა.

● **ვისბადენი**, 30 მაისი. გფრ-ის ამ ქალაქში ტყვიის მსროლელთა საერთაშორისო შეჯიბრებაში კარგად გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები. მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სროლა მოიგო ვ. სტოლიპინმა — 566 ქულა. მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლელა 60 გასროლაში იმარჯვა ვ. პარხიმოვიჩმა — 595. მანვე მოიგო პნევმატური შაშხანით შეჯიბრება — 382 ქ. პნევმატური პისტოლეტით ტურნირში პირველობა მასპინძელ გ. კაუპმანსენენკეს დარჩა — 386. ასეთივე შედეგით მეორე იყო ა. გრიშჩინი.

● **უოლტჰემი**, 30 მაისი. მასაჩუსეტის შტატის ამ ქალაქის სტადიონზე გამართულ შეჯიბრებაში ირლანდიელმა სტაიერმა პ. მაკ-მაჰონიმ, რომელიც აქ სწავლობს, ერთსაათიან რბენაში საერთაშორისო კლასის შედეგი — 19 კმ 624 მ აჩვენა და თავისი ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა.

● **ლაიპციგი**, 31 მაისი. გდრ-ის, ბულგარეთის, შვეციის, შვეიცარიის, რუმინეთის, უნგრეთისა და სსრ კავშირის ტყვიის მსროლელები მონაწილეობენ საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელიც აქ დაიწყო. მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლელა 60 გასროლა ვაჟებში ჰ. იანსონმა (შვეცია) მოიგო. მან 600-დან 597 ქულა მოაგროვა. ქალებში იმარჯვა ტ. რატნიკოვამ (სსრ კავშირი) — 592.

● **ვისბადენი**, 31 მაისი. ტყვიის მსროლელთა საერთაშორისო ტურნირის მესამე დღესაც საბჭოთა ჩუბინებმა ისახელეს თავი. მცირეკალიბრიანი პისტოლეტით ჩქაროსნულ სროლაში მეხიკოს ოლიმპიადის პრიზიორმა რ. სულეიმანოვმა 594 ქულა მოაგროვა. მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×40) ასპარეზობაში კი იმარჯვა ვ. აგიშევმა — 1159. პარხიმოვიჩმა მასთან ქულა წააგო.

● **მოსკოვი**, 31 მაისი. გაზეთ „კრასნაია ზვეზდას" პრიზზე გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაში მ. ჟელობოვსკიმ 1500 მეტრზე რბენაში კარგი შედეგი (3.42,9) აჩვენა. 5000 მეტრზე ასპარეზობა მოიგო ლ. მიკიტენკომ — 13.52,8.

● **პრაღა**, 31 მაისი. ჩეხოსლოვაკიელ მძლეოსანთა ტურნირში სხვა ქვეყნების ათლეტებიც მონაწილეობდნენ. მათგან თავი გამოიჩინა 3000 მეტრზე წინაღობებიანი რბენაში ევროპის ჩემპიონმა მ. ჟელოევმა (ბულგარეთი) — 8.38,8. სხვა სახეობებში მასპინძლებმა იმარჯვეს. ოლიმპიურმა ჩემპიონმა მ. რეზკოვა-ჰიუბნეროვამ 185 სმ სიმაღლე გადალახა, რაც საუკეთესოა წლეულს ევროპაში. ი. ალექსამ 218 სმ დაძლია და ქვეყნის თავისივე რეკორდი 1 სმ-ით გააუმჯობესა. 200 მეტრზე რბენაში ი. ბირნბაუმოვამ ჩეხოსლოვაკიის რეკორდი გააუმჯობესა — 23,8 წამი აჩვენა.

● **ნალჩიკი**, 31 მაისი. „სპარტაკის" სტადიონზე დამთავრდა მრავალჭიდელთა საკავშირო ტურნირი. ხუთჭიდში ვ. ტიხომიროვამ 4870 ქულა მოაგროვა და 30 ქულით გააუმჯობესა თავისივე საკავშირო მიღწევა, მაგრამ 30 ქულა არ ეყო საკავშირო რეკორდად სარეგისტრაციო ნორმატივამდე. ათჭიდი მოიგო ნ. ავილოვმა — 7765 ქულა.

◆ **უფა**, 1 ივნისი. „შრომითი რეზერვების" მოკრივეთა გამარჯვებით დამთავრდა სსრ კავშირის თასის აქ გამართული გათამაშება. გამარჯვებულებს გადაეცათ გარდამავალი პრიზი და ოქროს მედლები. ფინალური მატჩი „შრომითი რეზერვებისა" და პროფკავშირთა ნაკრებ გუნდებს შორის დამთავრდა ფრედ — 16:16. რადგან მომავალ მუშებს ყველა მატჩში უფრო მეტი გამარჯვება ჰქონდათ, თასიც მათ მიეკუთვნათ. პროფკავშირების წარმომადგენლებმა ვერცხლის მედლები მიიღეს, საბჭოთა არმიის სპორტსმენებმა — ბრინჯაოსი.

◆ **ლენინგრადი**, 1 ივნისი. მოსკოვის, ლენინგრადის, ყაზახეთის, ხარკოვისა და ტულის ველოსიპედისტები, რომლებიც აქ ემზადებიან საერთაშორისო შეჯიბრებისთვის — „ლენინგრადის დიდი პრიზი", ადგილობრივ ტრეკზე გამოვიდნენ. ქალთა შორის სპრინტერულ რბოლაში გაიმარჯვა ლენინგრადელმა გ. ცარიოვამ. ერთ კილომეტრზე ადგილიდან გიტში ყველაზე სწრაფი აღმოჩნდა სსრ კავშირის ვიცე-ჩემპიონი, ხარკოველი ს. კრავცოვი — 1.9,75. 4 კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში ყველას აჯობა ლენინგრადელმა ს. მოსკვინმა.

◆ **ტოკიო**, 1 ივნისი. საბჭოთა ფრენბურთელთა ნაკრებმა გუნდებმა დაამთავრეს ტურნე იაპონიაში. ჩვენმა ვაჟებმა მოიგეს ყველა შეხვედრა, ქალთა ნაკრებმა კი მხოლოდ ერთი მატჩი წააგო. გამომგზავრების წინ საბჭოთა ფრენბურთელებმა დაამარცხეს მასპინძელთა ნაკრები გუნდები — ქალებმა — 3:1, ვაჟებმა — 3:0.

◆ **ტოკიო**, 1 ივნისი. ჰიმალაის მთებში მდებარე ანაპურნის მწვერვალი, რომლის სიმაღლე 7.577 მეტრია, დაიპყრეს იაპონელმა მთამსვლელებმა ს. ტაბეიმ და ხ. სირაკავამ. სპეციალისტთა აზრით, ანაპურნა ერთ-ერთ ძნელად მისასვლელ მწვერვალად ითვლება.

# ბურდას ხელახალი გამარჯვება





მინსკი, 1 ივნისი. (საკდესი). სპორტულ ტანვარჯიშში სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონობა მოიპოვეს ვორონეჟელმა მოსწავლემ ლ. ბურდამ და მოსკოველმა სტუდენტმა მ. ვორონინმა. ბურდამ შარშანდელ პირველობაშიც ყველას აჯობა, წლეულს კი 76,4 ქულით დაისაკუთრა ჩემპიონობა. სავალდებულო პროგრამის შემდეგ იგი ერთი მეათედი ქულით უსწრებდა ვორონინას, ორი მეათედით კი ტურიშჩევას. ნებისმიერი... ბურდამ საუკეთესოდ შეასრულა ნახტომი — 9,65. მთავარი მეტოქეები კიდევ უფრო ჩამორჩნენ. ბურდამ სუფთად, დახვეწილად ივარჯიშა ორძელზეც — 9,6 ქულა. მაგრამ ამ იარაღზე ტურიშჩევას კომბინაცია განსაკუთრებით ეფექტური აღმოჩნდა. აქ იყო სირთულეც, დახვეწილი შესრულებაც, და სპორტსმენმა შედეგად მაღალი შეფასება — 9,8 ქულა მიიღო. ძელზე ტურიშჩევას 9,7 ქულა ხვდა. ბურდასაც კარგი შედეგი ჰქონდა, მაგრამ ორი მეათედით ნაკლები. მრავალჭიდის ბოლო სახეობის — თავისუფალი ვარჯიშის წინ ლიდერები გათანაბრდნენ — 66,7 ქულა. არც ზ. ვორონინა იყო ძალიან შორს — 66,45.

გროზნოელი ტანმოვარჯიშე თავისუფალ ვარჯიშში ჩვეულებრივ ბურდაზე მაღალ შეფასებას იმსახურებს ხოლმე, მაგრამ ახლა, როცა ასე ახლოს იყო გამარჯვებასთან, ტურიშჩევას ნერვებმა უმტყუნა. მან ჯერ კიდევ მოთელვაზე ვერ გააკეთა სალტო. ტურიშჩევას თავისუფალ ვარჯიშში ისედაც ბევრი სირთულე უშლის ხოლმე ხელს. შეიძლება მწვრთნელ ვ. რასტოროცკის ამ მომენტში სალტო უნდა შეეცვალა, მაგრამ იგი ასე არ მოიქცა და სპორტსმენმა ეს ელემენტი ვერ შეასრულა. ტურიშჩევა წამის რაღაც უმცირეს ნაწილში ხალიჩაზე ჩაჯდა და ოქროს დაემშვიდობა. 8,7 ქულით იგი საერთოდ V ადგილზე მოხვდა. ბურდა კი ხალიჩაზეც ძალიან კარგი იყო — 9.7 ქულა. და აი, ი. შტუკმანის მოწაფემ თავის ხანმოკლე სპორტულ ბიოგრაფიაში მეორე დიდი ოქროს მედალი გაინაღდა. ბურდა მეათე კლასს ამთავრებს (მას ნება დართეს გამოცდები ცოტა მოგვიანებით ჩააბაროს) და სწავლის გასაგრძელებლად ემზადება. „ძალიან მოხარული ვარ, რომ ყველაფერი ასე დამთავრდა. — უთხრა მან საკდესის კორესპონდენტებს. ამ თავისუფალ ვარჯიშს დღეს პირველად ვასრულებდი და კარგადაც გამომივიდა. მოხარული ვარ ზინა ვორონინას წარმატების გამოც: ხანგრძლივი შესვენების შემდეგ იგი ძალიან კარგად გამოვიდა. მალე მსოფლიო ჩემპიონატი იწყება და ჩვენს გუნდში ძლიერი შემადგენლობა იყრის თავს".

ო. კარასიოვას ისევ უღალატა ორძელმა. ერთი უბრალო ელემენტის შესრულების დროს იგი ფეხით იატაკს შეეხო და 9,45 ქულის მეტი ვერ მიიღო. სამაგიეროდ, მან კვლავ ბრწყინვალედ შეასრულა თავისუფალი ვარჯიში — ეს ჭეშმარიტად საკონცერტო ნომერი, და მსაჯებისგან მეორედ მიიღო 9,9 ქულა.

გვინდა ბრინჯაოს მედალი მივულოცოთ თ. ლაზაკოვიჩს, რომელსაც მანამდე მხოლოდ იუნიორთა ტურნირების ჯილდოები ჰქონდა. ვიტებსკელი მწვრთნელი ვ. დმიტრიევი, რომელმაც ლ. პეტრიკი აღზარდა, წარმატებით აგრძელებს მუშაობას. ლაზაკოვიჩიც ხომ მისი მოწაფეა.

სასიამოვნოა, რომ პირველ ექვსეულში მოხვდნენ პერსპექტიული ტანმოვარჯიშეები ე. საადი და რ. სიხარულიძე. ტაშკენტელმა საადიმ IV ადგილი დაიკავა, ბათუმელმა სიხარულიძემ — VI. ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე, გროდნოელი ო. კორბუტი XIII ადგილზეა, მაგრამ მისთვის ჯერჯერობით ესეც დიდი წარმატებაა. ოლია შესანიშნავად ვარჯიშობს ორძელზე და ძელზე, სადაც მაღალი ქულები მიიღო — 9,7 ქულა.

ვაჟთა ბრძოლა გაცილებით უფრო მშვიდი იყო. ვორონინს ამჯერად განსაკუთრებულ კონკურენციას ვერავინ უწევდა. მან ქულაზე მეტით გაუსწრო მეორე პრიზიორს. ექვსეულში შემდეგი ადგილები დაიკავეს ვ. კლიმენკომ, ვეტერანმა ვ. ლისიცკიმ, ს. დიომიდოვმა, ახალგაზრდა მოსკოველმა ტანმოვარჯიშემ გ. ბოგდანოვმა და თბილისელმა ვეტერანმა მ. ბოგუსმა. მეხიკოს ოლიმპიადის მონაწილე ჰ. კარასიოვმა X-XI ადგილები გაიყო გ. რაზუმოვსკისთან.

სსრ კავშირის ნაკრების ახალბედა წევრს გ. ბოგდანოვს ვთხოვეთ თავისი აზრი გამოეთქვა ვაჟთა შეჯიბრებაზე: „ტანვარჯიშში ჩემი იდეალი მიხეილ ვორონინია, — თქვა მან. — მოსკოველმა ტანმოვარჯიშემ ამ შეჯიბრებაშიც დაამტკიცა თავისი მაღალი კლასი. მისი პროგრამა მნიშვნელოვნად განახლებული, რთული და საინტერესოა. ძალიან კარგად გამოვიდა ვიქტორ ლისიცკი, რომელიც ახლა 30 წლისაა. იგი დიდად დამეხმარა რჩევა-დარიგებებით. იმედი მაქვს, რომ ოლიმპიელები — დიომიდოვი და კარასიოვი საბრძოლო ფორმაში შევლენ და შემოდგომისთვის უკეთ იასპარეზებენ".

ჩემპიონატს ესწრებოდნენ ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ა. განდერი და მსაჯთა საერთაშორისო სემინარის მონაწილენი, რომლებიც ხვალ შეუდგებიან მუშაობას. სტუმრებს ძალიან მოეწონათ ასპარეზობა და საბჭოთა ტანმოვარჯიშეთა მაღალი ოსტატობა.

* * *

სურათებზე: ზევით — მ. ვორონინი, ქვევით — ლ. ბურდა.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

## 3:3

თბილისი. საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტის აუზი. 30 მაისი.

სსრ კავშირი — უნგრეთი 3:3 (1:1, 1:1, 0:1, 1:0).

**სსრ კავშირი**: გულიაევი, დრევალი (გაიტანა 1 ბურთი), პუშკარიოვი, უმუდსკი, სემიონოვი, ბარკალოვი, შიდლოვსკი (2), კოტელნიკოვი, სკოკი.

**უნგრეთი**: ჩერვენიაკი, ფარაგუ (1), ჩოპუ, კონრადი (1), ბორზი, გაიდოში (1), კანიჟა, კოლერი, სერი, დეაკი.

მსაჯი — კონტორი (უნგრეთი).

უნგრელმა წყალბურთელებმა ბოლო მატჩი კვლავ სსრ კავშირის ნაკრების სპორტსმენებთან გამართეს. მათ გაითვალისწინეს პირველ შეხვედრაში დაშვებული შეცდომები და ამჯერად უფრო საზრიანად, ფრთხილად მოქმედებდნენ. უნგრელები თავიდანვე მჭიდროდ თამაშობდნენ და მეტოქეებს არ აძლევდნენ საშუალებას კარში ზუსტად დაერტყათ.

პირველ ორ პერიოდში ამ ტაქტიკამ მათ სასურველი შედეგი მოუტანა. მესამე პერიოდში კი უმეთვალყუროდ დატოვებულმა ფარაგუმ კარგად გამოიყენა გოლის გატანის შესაძლებლობა.

დარჩენილ დროში საბჭოთა წყალბურთელების უპირატესობა იგრძნობოდა, მაგრამ უნგრელებს საიმედოდ ჰქონდათ ჩაკეტილი კარის მისადგომები. და მაინც, მატჩის მიწურულს დრევალმა შესანიშნავი დარტყმით კვლავ აღადგინა წონასწორობა.

ამრიგად, უნგრელებმა სამი მატჩიდან ერთი მოიგეს, ერთი წააგეს და ერთიც ფრედ დაამთავრეს.


საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორატი აცხადებს, რომ 1 ივლისიდან დაიწყება მსმენელთა მიღება **ერთთვიან მოსამზადებელ კურსებზე** იმ პირთათვის, რომელთაც სურთ ინსტიტუტის დღის ან დაუსწრებელ განყოფილებაზე შესვლა.

მსურველებმა 25-დან 30 ივნისამდე უნდა წარმოადგინონ განცხადება, ატესტატი (მას, ვინც წლეულს ამთავრებს, შეუძლია წარმოადგინოს დროებითი ცნობა სკოლის დამთავრების შესახებ), სპორტული თანრიგის საკლასიფიკაციო ბილეთი არანაკლებ III თანრიგისა, რომელიმეში ქვემოჩამოთვლილი სახეობებიდან: მძლეოსნობა, სპორტული და მხატვრული ტანვარჯიში, აკრობატიკა, კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი, ჩოგბურთი, ხელბურთი, თავისუფალი ჭიდაობა, კლასიკური ჭიდაობა, სამბო, ძალოსნობა, კრივი, ცურვა, წყალში ხტომა, წყალბურთი, ნიჩბოსნობა, ფარიკაობა, ველოსპორტი, თანამედროვე ხუთჭიდი, ტყვიის სროლა, სამთოსათხილამურო და საციგაო სპორტი.

აგრეთვე უნდა წარმოადგინონ ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა № 286) და გადაიხადონ სწავლებისთვის დაწესებული საფასური.

რაიონების მცხოვრებნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

სწავლება ქართულ ენაზე.

კურსებზე ისწავლება: ქიმია, ფიზიკა. ჩატარდება პრაქტიკული მეცადინეობები ტანვარჯიშში, მძლეოსნობასა და ცურვაში.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე, 10 საათიდან.

მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 49. ოთახი № 20.

ტელეფონი 22-00-76.

ინსტიტუტის რექტორატი.



საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორატი აცხადებს, რომ 1 ივლისიდან მუშაობას დაიწყებს **ერთთვიანი მოსამზადებელი კურსები** იმ პირთათვის, რომელთაც მწვრთნელთა სკოლაში სურთ შესვლა.

მსურველებმა 25-დან 30 ივნისამდე უნდა წარმოადგინონ განცხადება, ცნობა არასრული საშუალო განათლების შესახებ, სპორტული თანრიგის საკლასიფიკაციო ბილეთი არჩეულ სახეობაში (არანაკლებ II თანრიგისა): მძლეოსნობაში, სპორტულ ტანვარჯიშში, კალათბურთში, ფრენბურთში, ფეხბურთში, ხელბურთში, ძალოსნობაში, ცურვაში ან თავისუფალ ჭიდაობაში, აგრეთვე, ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა № 286), და გადაიხადონ სწავლებისთვის დაწესებული საფასური.

რესპუბლიკის რაიონების მცხოვრებნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

სწავლება მათემატიკაში ქართულ ენაზეა. ჩატარდება პრაქტიკული მეცადინეობები ტანვარჯიშში, მძლეოსნობასა და ცურვაში.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველდღე, 10 საათიდან.

მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 49. ოთახი № 20.

ტელეფონი 22-00-76.

ინსტიტუტის რექტორატი.


ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 1 უე 03269